

ოტორინოლარინგოლოგია

ხანგრძლივობა – 4 წელი (44 თვე)

1. პროგრამის მიზანი და ამოცანები

სარეზიდენტო პროგრამის მიზანს რეზიდენტის მიერ ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით დამოუკიდებელი საქმიანობისთვის აუცილებელი კლინიკური გამოცდილების მიღება წარმოადგენს. მომავალი ოტორინოლარინგოლოგი ყურის, ცხვირის, ხახის, ხორხის და ნაწილობრივ კისრის პათოლოგიათა დიაგნოსტიკის და მკურნალობისათვის აუცილებელ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას უნდა დაეუფლოს.

რეზიდენტურის პროგრამის მსვლელობის პროცესში მომავალი სპეციალისტი ღირსეულად იმსახურებს ინსპექტირების თანამედროვე მეთოდებსა და თანამედროვე ლაბორატორიულ, სხივურ და ჰისტოპათოლოგიურ გამოკვლევების მეთოდებსა და დიაგნოსტიკის დაზუსტებისათვის მათი გამოყენებარით შეძლოს, ღირსეულად იმსახუროს და მეთოდებს დაეუფლებას, რომლებიც ამ ლარინგოლოგიურ პრაქტიკაში პოულობენ გამოყენებას. მომავალმა სპეციალისტმა ეტაპობრივად უნდა აითვისოს მარტივი, საშუალო სირთულის და რთული ოპერაციები, შეისწავლოს ღირსეულად ოტორინოლოგიის თავისებურებები, ისწავლოს სამედიცინო დოკუმენტაციის გაფორმება. რეზიდენტს ღირსეულად უნდა შეეძლოს გადაუდებელი მდგომარეობების დროს პირველადი დახმარების გაწევა და შემდგომ მკურნალობის ჩატარება უნდა შეეძლოს. რეზიდენტურის პროგრამა აუდიოლოგიის და ვესტიბულოლოგიის საფუძვლების შესწავლასაც მოიცავს, რაც სპეციალისტს სმენის და ვესტიბულოლოგიური ორგანოს დაავადებათა თანამედროვე დონეზე ინტერპრეტაციაში და მკურნალობის და/ან რეაბილიტაციის მეთოდთა შერჩევაში დაეხმარება. პრაქტიკული მუშაობის პარალელურად რეზიდენტმა თეორიული ცოდნა უნდა გაიღრმავოს ამისათვის მას მულტიმედიური საშუალებების გამოყენებაც უნდა ხელეწიფებოდეს.

სარეზიდენტო პროგრამის შესრულების პროცესში რეზიდენტმა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სწავლების ადეკვატური კურსი უნდა გაიაროს, რათა პოლიკლინიკის თუ სტაციონარის სპირიტუალში ექიმ-ოტორინოლარინგოლოგად დამოუკიდებლად მუშაობა შეეძლოს.

რა უნდა იცოდეს ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით რეზიდენტურის პროგრამის კურსდამთავრებულმა

1. ავადმყოფის ანამნეზის სწორი და სრული შეკრება, ამბულატორიული და სტაციონარული ისტორიების შევსება;
2. ავადმყოფის მომზადება საოპერაციოდ და პოსტოპერაციული პერიოდის სწორად წარმართვა;
3. საოპერაციო რისკის განსაზღვრა და შესაბამისი ტაქტიკის შერჩევა;
4. სხვადასხვა ხახის შოკის დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
5. ტრანსფუზიული თერაპიის ოპტიმალური მოცულობის და დოზირების შერჩევა;
6. ხელოვნური სუნთქვის ჩატარება: ა) სტაციონარული აპარატით; ბ) ამბუს აპარატით;
7. ოქსიგენოთერაპია;
8. ელექტროდევობრილაცია;
9. ტრაქეის პუნქცია;
10. პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია;
11. ზონდით კვება;
12. პარენტერალური კვება;
13. შერეული კვება;
14. სედაცია;
15. სისხლის ჯგუფობრიობის დადგენა;

16. ინტუბაცია;
17. ანტიბაქტერიული თერაპიის ოპტიმალური მოცულობის და დოზირების შერჩევა, ანტიბაქტერიოთერაპიის კონტროლი;
18. ანტიმიკოზური თერაპიის ოპტიმალური მოცულობის და დოზირების შერჩევა;
19. სხვადასხვა სახის და ლოკალიზაციის სისხლდენის დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა და ჩატარება;
20. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია;
21. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების დაავადებების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მკურნალობის ახლო და შორეული შედეგების შეფასება;
22. ხახის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია;
23. ხახის დაავადებების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მკურნალობის ახლო და შორეული შედეგების შეფასება;
24. ხორხის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია;
25. ხორხის დაავადებების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
26. ხორხის და ტრაქეის სხვადასხვა გენეზის სტენოზების დიაგნოსტიკა, მკურნალობის კონსერვატიული და ქირურგიული მეთოდები;
27. ყურის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია;
28. ყურის დაავადებების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მკურნალობის ახლო და შორეული შედეგების შეფასება;
29. საელაპავი მილის ანატომია, ტოპოგრაფიული ანატომია, ფიზიოლოგია;
30. საელაპავი მილში უცხო სხეულის არსებობის ვერიფიკაცია, მკურნალობა;
31. რინოგენული ქალასშიდა და ორბიტალური გართულებები, დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
32. ოტოგენური ქალასშიდა გართულებები, დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობა;
33. ღორ ორგანოების ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა;
34. კლინიკური აუდიოლოგიის და ვესტიბულოლოგიის საფუძვლები;
35. ღორ ორგანოების მიმოხილვითი რენტგენოგრაფიების და კომპიუტერული ტომოგრაფიების განხილვა და ანალიზი;
36. ოტოსკოპია, მიკროსკოპიული ოტოსკოპია, წინა რინოსკოპია, უკანა რინოსკოპია, ღორ ორგანოების ენდოსკოპია, ცხვირ-ხახის მანუალური გამოკვლევა, ფარინგოსკოპია, ეზოფაგოსკოპია, არაპირდაპირი ლარინგოსკოპია;
37. სხვადასხვა ღორ ორგანოდან უცხო სხეულების ამოღება;
38. სხვადასხვა ღორ ორგანოდან სისხლდენის შეჩერება, ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა, ტონზილექტომიის შემდგომი სისხლდენის ლივირება, კერვა, ტამპონადა, ღორ ორგანოდან სისხლდენის შეჩერება კოაგულაციით, წინა და უკანა ეთმოიდური არტერიების, გარეთა საძილე არტერიის ვადაკვანძვით;
39. პარატონზილარული და რეტროფარინგეალური აბსცესების კვეთა-დრენირება;
40. პარაფარინგეალური აბსცესების კვეთა-დრენირება;
41. კონიკოტომია, ტრაქეოტომია, ტრაქეოსტომია;
42. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების ტრავმების დროს ძვლების რეპოზიცია, შესაბამისი ტაქტიკის შერჩევა;
43. ცხვირის დანამატი წიაღების პუნქცია, ტრეპანოპუნქცია;
44. ცხვირის დანამატი წიაღებიდან ხირქის ევაკუაცია არაპუნქციური მეთოდებით;
45. დაფის აპის პშემომასაჟი, ევსტაქის მილის კათეტერიზაცია, პოლიცერის ბალონით ტიმპანალური ჩაბერვები;
46. დაფის აპის პარაცენტეზი;
47. სხვადასხვა ტიპის სმენის დაქვეითების დიაგნოსტიკა;
48. სმენდაქვეითებულთა რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა;
49. ღორ ორგანოების ანთებითი დაავადებების მკურნალობაში ფიზიოთერაპიული მეთოდების გამოყენება, მკურნალობის ახლო და შორეული შედეგების შეფასება და შესაბამისი ტაქტიკის შერჩევა.

2. სპეციალოგის აღწერილობა

სპეციალობის და სპეციალისტის განსაზღვრა (დეფინიცია)

- **ოტორინოლარინგოლოგია** ქირურგიული მედიცინის დარგია, რომელიც ყურის, ცხვირის, ხახის, ხორხის და ნაწილობრივ კისრის დაავადებების დიაგნოსტიკას და მკურნალობას მოიცავს.
- **ოტორინოლარინგოლოგი** მოვალეა ყურის, ცხვირის, ხახის, ხორხის და ნაწილობრივ კისრის პათოლოგიის მქონე პაციენტებში სწორი დიაგნოზი დასვას, კონსერვატიული თუ ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკა განსაზღვროს, კრიტიკულ სიტუაციებში ავადმყოფს გადაუდებელი დახმარება გაუწიოს.
- მომავალი სპეციალისტი 4-წლიანი რეზიდენტურის კურსს გაივლის და სასერტიფიკაციო გამოცდას ჩააბარებს, რის შემდეგაც ექიმ-ოტორინოლარინგოლოგის სტატუსს მიაპოვებს. ექიმი-ოტორინოლარინგოლოგი უწყვეტი სამედიცინო განათლების პრინციპებს ემორჩილება. საკვალიფიკაციო კურსის გავლა მას სხვა ქვეყნების კლინიკებშიც შეუძლია.

სპეციალისტის ზოგადი უნარ-ჩვევები

1. ცხვირიდან უცხო სხეულის ამოღება;
2. ცხვირის ძვლების რეპოზიცია;
3. ცხვირის ძვიდის აბსცესის გაკვეთა;
4. ევსტაქის მილის კათეტერიზაცია, ტიმპანალური ჩაბერვები;
5. ჰაიმორის წიაღის პუნქცია;
6. ცხვირის დანამატი წიაღებიდან არაპუნქციური მეთოდებით ჩირქის ევაკუაცია;
7. ცხვირის წინა ტამპონადა;
8. ცხვირის უკანა ტამპონადა;
9. საყლაპავიდან უცხო სხეულების ამოღება ეზოფაგოსკოპით;
10. პარატონზილარული აბსცესის კვეთა;
11. რეტროფარინგეალური აბსცესის კვეთა, დრენირება;
12. აღენოტომია;
13. ტონზილექტომია;
14. ენდონაზალური პოლიპოტომია;
15. ენდონაზალური პოლიპოტომია ეთმოიდის გახსნით;
16. რინოფიმის ოპერაცია;
17. ცხვირის ქვემო კონხოტომია;
18. ცხვირის ქვემო ნიჟარების ულტრაბერითი დეზინტეგრაცია;
19. ცხვირის ქვემო ნიჟარების ტურბინოპლასტიკა;
20. ცხვირის ქვემო ნიჟარების სუბმუკოზური რეზექცია;
21. ცხვირის ძვიდის რეზექცია;
22. ცხვირის პლასტიკა;
23. შუბლის წიაღის ტრეპანოპუნქცია;
24. ფრონტოტომია;
25. ეთმოიდოტომია;
26. ჰაიმოროტომია;
27. სფენოიდოტომია;
28. ცხვირის დანამატ წიაღებზე ენდოსკოპიური ოპერაციები;
29. კისრის მიდამოს კისტექტომია;
30. კამერტონული გამოკვლევა;
31. ტონალური აუდიომეტრია, ტიმპანომეტრია;
32. ტრანსმეტალური პოლიპოტომია;
33. დაფის აპკის პარაცენტეზი;
34. დაფის დრუს შუნტირება;
35. გარეთა სასმენი მილის ეგზოსტოზის ოპერაცია;
36. ანტრომასტოიდექტომია;
37. ყურის რადიკალური ოპერაცია;
38. ტრაქეოტომია;
39. ხელოვნური სუნთქვის განხორციელება: ა) სტაციონარული აპარატით; ბ) ამბუს აპარატით;

40. ოქსიგენოთერაპია;
41. ელექტროდეფიბრილიაცია;
42. ტრაქეის პუნქცია;
43. პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია;
44. ზონდით კვება;
45. პარენტერალური კვება;
46. შერეული კვება;
47. სედაცია;
48. სისხლის ჯგუფობრიობის დადგენა;
49. ინტუბაცია.

სპეციალობა ქვემოწამოთვლილი დაავადებების და პათოლოგიური მდგომარეობების კლინიკას, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას შემდეგი მოცულობით მოიცავს:

1. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების ტრავმები;
2. ცხვირის თანდაყოლილი ანომალიები, ცხვირის ღრუს ატრეზია, სინექიები;
3. ცხვირის ღრუს და მისი დანამატი წიაღების უცხო სხეულები;
4. ცხვირის წითელი ქარი, ეგზემა, სიკოზი, ფურუნკულოზი, რინოფიმა;
5. ცხვირის ძვლის დეფორმაცია, ჰემატომა, აბსცესი;
6. რინიტები, ოზენა;
7. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების პოლიპოზი;
8. ცხვირიდან სისხლდენა;
9. მწვავე და ქრონიკული სინუსიტები;
10. ცხვირის დანამატი წიაღების ცისტისებური გაგანიერება;
11. ცხვირის და მისი დანამატი წიაღების სიმსივნეები;
12. ხახის დაზიანებები, უცხო სხეულები ხახაში;
13. ცხვირ-ხახის ადენოიდების და ხახის ტონზილების ჰიპერპლაზია;
14. მწვავე და ქრონიკული ფარინგიტი;
15. ბანალური და სპეციფიკური ანგინები;
16. პარატონზილარული, პარაფარინგეალური, რეტროფარინგეალური აბსცესები;
17. ქრონიკული ტონზილიტი;
18. ხორხის ტრავმები;
19. ხორხის უცხო სხეულები;
20. ხორხის შეშუპება;
21. ხორხის ანთებითი დაავადებები;
22. ხორხის მწვავე და ქრონიკული სტენოზი;
23. ყურის ტრავმები, უცხო სხეულები;
24. წითელი ქარი, პერიქონდრიტი;
25. გარეთა სასმენი მილის ეგზემა და ანთებითი დაავადებები;
26. შუა ყურის მწვავე და ქრონიკული ანთებითი დაავადებები;
27. ლაბირინთიტი;
28. ოტოსკლეროზი;
29. მენიერის დაავადება;
30. სმენის სენსონევერალური დაქვეითება;
31. სმენის დაქვეითება, სრული სმენაჩლუნგობა, ყრუმუნჯობა;
32. სმენადაქვეითებულ ავადმყოფთა რეაბილიტაციის მეთოდები;
33. ცხვირ-ხახის ავთვისებიანი სიმსივნეები;
34. ნუშურა ჯირკვლის და პირ-ხახის ავთვისებიანი სიმსივნეები;
35. ხორხის კიბოსწინარე დაავადებები და ავთვისებიანი სიმსივნეები;
36. ზედა ყბის, ცხვირის და მისი დანამატი წიაღების ავთვისებიანი სიმსივნეები;
37. პირის ღრუს ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები.

ოტორინოლარინგოლოგს შემდეგი ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევის შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება უნდა შეეძლოს:

1. სისხლის საერთო ანალიზი უჯრედული შემადგენლობის გათვალისწინებით;
2. კოაგულოგრამის ანალიზი;
3. სისხლის ჯგუფობრიობის დადგენა, რეზუს-ფაქტორის განსაზღვრა;

4. შარდის საერთო ანალიზი;
5. ბიოფსიური და ოპერაციული მასალის ჰისტოლოგიური გამოკვლევების მონაცემთა შეფასება;
6. პუნქტატის და ნაცხის ციტოლოგიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევის მონაცემთა შეფასება;
7. ცილების, ნახშირწყლების და ცხიმების მეტაბოლიზმის, აზოტოვანი ცვლის, ელექტროლიტების და ფერმენტული გამოკვლევების მონაცემთა შეფასება;
8. რენტგენოსკოპიის, რენტგენოგრაფიის, ულტრაბგერითი გამოკვლევის, კომპიუტერული ტომოგრაფიის, ელექტრო-მაგნიტური რეზონანსული გამოკვლევის მონაცემთა შეფასება;
9. ენდოსკოპიური გამოკვლევის მონაცემთა ადეკვატური შეფასება.

ოტორინოლარინგოლოგს შემდეგი დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციების განხორციელება უნდა შეეძლოს:

- * ოტოსკოპია, მიკროოტოსკოპია;
- * წინა და უკანა რინოსკოპია;
- * ფარინგოსკოპია;
- * არაპირდაპირი და პირდაპირი ლარინგოსკოპია;
- * ლორ ორგანოების ინსპექტირება ენდოსკოპით;
- * ევსტაქის მილის კათეტერიზაცია;
- * მირინგოტომია;
- * ცხვირის დანამატი წიაღებიდან არაპუნქციური მეთოდებით ჩირქის ევაკუაცია;
- * ჰაიმორის წიაღის პუნქცია;
- * შუბლის წიაღის პუნქცია;
- * ცხვირის წინა და უკანა ტამპონადა;
- * ლორ სისტემის ღრუ ორგანოებიდან უცხო სხეულის ამოღება;
- * ცხვირის ძვლების რეპოზიცია;
- * ცხვირის ძვილის აბსცესის გაკვეთა;
- * სმენის გამოკვლევა კამერტონით;
- * ტონალური ზღურბლოვანი აუდიომეტრია;
- * ტიმპანომეტრია, იმპედანსომეტრია.

ოტორინოლარინგოლოგს შემდეგი გადაუდებელი მდგომარეობების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, პირველადი დახმარება და მკურნალობა უნდა შეეძლოს:

- * ცხვირიდან სისხლდენა;
- * ცხვირის ღია და დახურული მოტეხილობები;
- * ხორხ-ხახის და ცხვირ-ხახის უცხო სხეულები;
- * ხორხის უცხო სხეულები, ხორხის სტენოზი;
- * ხორხის ღია და დახურული დაზიანებები;
- * ხახისა და რბილი სასის დაზიანებები;
- * პერიტონზილარული და პარაფარინგეალური აბსცესები;
- * ყურის ნიჟარის ჭრილობები და დაზიანებები;
- * გარეთა სასმენი მილის დაზიანებები;
- * საფეთქლის ძვლის მოტეხილობები;
- * დაფის აპკის დაზიანებები;
- * შუა ყურის მწვავე ანთება;
- * პარაცენტეზი;
- * სუბპერიოსტალური აბსცესი, მასტოიდიტი;
- * აკუსტიკური ტრაგმა;
- * უეცარი სიყრუე;
- * ხელოვნური სუნთქვის განხორციელება: ა) სტაციონარული აპარატით; ბ) ამბუს აპარატით;
- * პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია;
- * ინტუბაცია.

3. სასწავლო პროგრამის შინაარსი

ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით რეზიდენტის მომზადებისათვის სარეზიდენტო პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობა ოთხი წელია.

პროგრამისზოგად ნაწილს შემდეგი მოდულები განეკუთვნება:

პროგრამის ზოგადი ნაწილი		
პროფესიული მზადების I წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
1.1	ზოგადი ქირურგია	6 თვე
1.2	ოტორინოლარინგოლოგიური პროფილის ავადმყოფების ამბულატორიული მიღების და მკურნალობის ათვისების კურსი	5თვე

პროგრამის სპეციფიურ ნაწილს შემდეგი მოდულები განეკუთვნება:

პროგრამის სპეციფიური ნაწილი		
პროფესიული მზადების II წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
2.1	სტაციონარში მომუშავე ოტორინოლარინგოლოგისათვის აუცილებელი დიაგნოსტიკური მეთოდების ასათვისებელი ტრენინგის კურსი	5 თვე
2.2	ყელის, ყურის და ცხვირის დაავადებების სტაციონარული მკურნალობის ასათვისებელი ტრენინგის კურსი	6 თვე
პროფესიული მზადების III წელი		
მოდ.№	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
3.1	ყელის, ყურის და ცხვირის ტოპოგრაფიული ანატომიის კლინიკური ხედვით შესწავლა და მსუბუქი ოპერაციების ათვისების კურსი	5 თვე
3.2	ოტორინოლარინგოლოგიაში საშუალო სირთულის ოპერაციების ათვისების კურსი	6 თვე
პროფესიული მზადების IV წელი		
მოდ. №	მოდულის დასახელება	ხანგრძლივობა
4.1	აუდიოლოგია, ვესტიბულოლოგია	1.5 თვე
4.2	თავის, კისრის, ზედა სასუნთქი გზების ონკოლოგიური დაავადებები	4.5 თვე
4.3	ოტორინოლარინგოლოგიის IV და V ხარისხის სირთულის ოპერაციების ათვისების კურსი	5 თვე

4. აკადემიური პერსონალი, კვალიფიკაცია და საბანანათლებლო რესურსები

რეზიდენტურის პროგრამის ჩატარება იმ სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებას ან დაწესებულებათა ჯგუფს შეუძლია, რომელიც რეზიდენტების სრულყოფილი პროფესიული მზადებისათვის საჭირო ადამიანურ საკადრო რესურსებს და სათანადო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ფლობს და რომელსაც შესაბამისი სახელმწიფო აკრედიტაცია აქვს მოპოვებული.

რეზიდენტურის პროგრამის აკადემიური პერსონალი:

ა) რეზიდენტურის პროგრამაში მონაწილე დაწესებულების თანამშრომლებიდან პროგრამის დირექტორი რეზიდენტების მზადების მოდულზე პასუხისმგებელ პირს ან პირებს შეარჩევს და შერჩევას დოკუმენტურად ადასტურებს;

ბ) მოდულზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია კონკრეტულ კლინიკურ ბაზაზე რეზიდენტის მზადების პროცესის წარმართვა და პროგრამის მოთხოვნილებების შესაბამისად პროცესის კონტროლია;

გ) მოდულზე პასუხისმგებელი პირი რეზიდენტურის პროგრამის დირექტორის წინაშე არის ანგარიშგაღებულ;

დ) მოდულზე პასუხისმგებელი პირი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს (კვირაში სამი დღის ჯამში არანაკლებ 15 საათს) უთმობს პროფესიული სწავლების პროგრამის რეალიზაციას;

ე) რეზიდენტურის ხელმძღვანელს ოფიციალურად უნდა ჰქონდეს გამოყოფილი დრო რეზიდენტთან თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პედაგოგიური მუშაობისათვის. ხელმძღვანელის მიერ რეზიდენტისათვის ჩატარებული ტრენინგის დრო ძირითადად სტაციონარულ და ამბულატორიულ პირობებში პაციენტებთან პრაქტიკულ საქმიანობას, გადაუდებელი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროცედურათა აპრობაციას უნდა დაეთმოს და ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პროფილაქტიკის პრინციპების და მეთოდების სრულყოფილად ათვისების საკენ უნდა იყოს მიმართული.

რეზიდენტურის პროგრამაში ჩართული სამედიცინო დაწესებულების სტაციონარულ და ამბულატორიულ განყოფილებებში ავადმყოფების რაოდენობა და დაავადებების სპექტრი ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით რეზიდენტისთვის მნიშვნელოვანი კლინიკური გამოცდილების მიღების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

სასწავლო გეგმის და პროგრამის მეტი წილი პრაქტიკულ მზადებას ანუ რეზიდენტის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით რეზიდენტის კლინიკურ-დიაგნოსტიკური, სამკურნალო-პროფილაქტიკული ხასიათის სამედიცინო მუშაობას ეთმობა. სასწავლო გეგმაში სწავლების სხვადასხვა ფორმის (ლექციები, სემინარები, თემატიური კონფერენციები, ასისტირებული და დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობა და ა.შ.) ხანგრძლივობა კონკრეტულად არ არის მითითებული.

ოტორინოლარინგოლოგიის პროფესიული მზადების ძირითადი მეთოდი რეზიდენტურის ხელმძღვანელის მეთვალყურეობის პირობებში რეზიდენტის მიერ სამკურნალო, დიაგნოსტიკური და პროფილაქტიკური ხასიათის მუშაობის უშუალო შესრულებაა.

რეზიდენტების, მაძიებლების თეორიული მზადებისათვის გამოყოფილია ოთახი კომპიუტერით და შიდა ბიბლიოთეკით. იქარსებული ლიტერატურა პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

5. ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდები

რეზიდენტურის პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე რეზიდენტურის პროგრამის ხელმძღვანელი დამოდულის რეალიზაციაში ჩართული ყველა სხვა პირიარის პასუხისმგებელი.

1. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები სარეზიდენტო კლინიკაში ან მის რომელიმე კონკრეტულ დეპარტამენტში შინაგანაწესით ან რომელიმე სხვა პროცედურული ნორმით განისაზღვრება;
2. რეზიდენტზე ზედამხედველობის ფორმები და წესები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ კონტროლდება პერიოდულად;
3. რეზიდენტურობასთან დაკავშირებულ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღებასთანადად ზედამხედველობა არ უნდა უშლიდეს ხელს. ზედამხედველობის ტიპი კლინიკური სიტუაციების და რეზიდენტის მომზადების ეტაპის და დონის შესაბამისად ცვლება. ცენტრალური მმართველი თუ ზედამხედველი რჩევის მიცემის, დახმარების, რეკომენდაციების, სათანადო კონსულტაციების მიცემისათვის სამუშაო დროის ნებისმიერ პერიოდში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

6. პროგრამის ხანგრძლივობა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ევროპის ცენტრალურ ქვეყნებში მოქმედი მსგავსი პროგრამების ხანგრძლივობა 3-5 წელია. აღნიშნულის და საქართველოში ოტორინოლარინგოლოგიის სპეციალობით რეზიდენტის მზადების გამოცდილების და დღეს მოქმედი პროგრამის გათვალისწინებით, წინამდებარე პროგრამის ხანგრძლივობის ოპტიმალურ ვადად 4 წელი უნდა იქნეს მიჩნეული.

7. პროგრამის განახლების პერიოდულობა

ოტორინოლარინგოლოგიაში სარეზიდენტო პროგრამის ოთხწლიანი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მისი განახლება ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა მივიჩნიოთ მიზანშეწონილად.

II. პროგრამის ზოგადი ნაწილი

პროფესიული მზადების I წელი

მოდული 1.1

1. მოდულის დასახელება, ხანგრძლივობა:
ზოგადი ქირურგია, 6 თვე.

2. მოდულის მიზანი:

მოდულის საწყისი ეტაპის მიზანია რეზიდენტს ის ბაზისური ქირურგიული ჩვევები განუვითაროს, რომლებიც ყველა ქირურგიული სპეციალობისათვის არის საერთო. საორიენტაციო პროგრამის შემდეგ რეზიდენტს ზოგადი ქირურგიის ყველა ძირითადი კომპონენტი უნდა ჰქონდეს ათვისებული. რეზიდენტი პრე-, ინტრა- და პოსტოპერაციული მართვის საკითხებს უნდა გაეცნოს. მან ქირურგიული ინფექციების და კლინიკური მიკრობიოლოგიის თავისებურებების, ქირურგიული და ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის გზების შესახებაც უნდა მიიღოს სრული ინფორმაცია. პრაქტიკულ ნაწილში რეზიდენტმა მცირე ქირურგიული მანიპულაციების შესრულება უნდა დაიწყო. უნდა გაეცნოს, კერძოდ, ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავების სპეციფიკას მიდამოების მიხედვით. პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პალატაში რეზიდენტი ქირურგიული ავადმყოფის სტატუსის შეფასების უნარს უნდა ფლობდეს. ყურადღება უნდა გამახვილდეს პათოლოგიის ჰემოდინამიკურ და ჰომეოსტაზურ მანევრებლებზე და მათი დარღვევის კორექციის გზებზე. რამდენიმე თვის შემდეგ რეზიდენტი პოლიკლინიკური მასშტაბის ტიპურ ქირურგიულ მანიპულაციებს თავად უნდა ასრულებდეს. მოდულის ბოლოს რეზიდენტს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ქირურგიული კომპონენტების, მათ შორის, ტრექტომიის და ტრაქეის ინტუბაციის ტექნიკა უნდა ჰქონდეს ათვისებული და ჩატარებულ პროცედურათა თეორიულ საფუძვლებს უნდა ფლობდეს.

3. რეკომენდებული ლიტერატურის ნუსხა:

1. გრიგოლია ნ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი, 2000.
2. კუზინი მ. ქირურგიული სნეულებები. თბილისი, 2004.
3. კიკელიძე ვილი ლ., ყიფიანი ე., კორძაია დ. ტოპოგრაფიული და კლინიკური ანატომია. თბილისი, 2005.
4. Schwartz, Shires, Spencer. Principles of Surgery. 8th Ed. 2004.
5. Bailey, Love's. Short Practice of Surgery (A Hodder Arnold Publication). By Norman S Williams (Author), Christopher J.K. Bulstrode (Author), Ronan O'Connell P. (Author), 25th Ed. 2006.
6. Sarrel B.E., Carabasi R.A. Surgery. National Medical Series for Independent Study. 1995.
7. Silverberg S.C. Principles and Practice of Surgical Pathology.
8. Speciality Review in General Surgery. The National Center for Advanced Medical Education. 2001.
9. Way L.W. Surgical Diagnosis and Treatment. 1994.
10. Way L.W., Doherty G.M. Current Surgical Diagnosis and Treatment. 2004.
11. Kant X. Scientific Basis for the Selection of Surgical Needles and Sutures. 1999.

12. Кузин М.И. Хирургические болезни. Москва, 2003.
http://www.medtrng.com/tutorials_and_simulators_part_8.htm
 (clinical surgery, surgical videos)
www.surgical-tutur.org.uk
<http://www.surgicalcourses.org.uk/>
www.dundee.ac.uk./surgicalskills/index.htm
<http://www.update-software.com/publications/cochrane/>
<http://www.ncepod.org.uk/>
<http://www.intumed.com/>

4. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობა და მოდულის შეფასების მეთოდები (იხ. ცხრილი 1.1)

ცხრილი 1.1

თეორიული კურსი	პროფესიული უნარ-ჩვევები	შეს-სრულ. მან	შეფასების მეთოდები
<p>ზოგადი ქირურგიული ჩვევები</p> <p>უსაფრთხო ქირურგიის პრინციპები:</p> <ul style="list-style-type: none"> ქირურგის მომზადება ოპერაციისათვის ხელის დაბანის, დამუშავების და ხელთათმანის ჩაცმის პრინციპები ქირურგებისათვის და ავადმყოფებისათვის იმუნიზაციის პროტოკოლები <p>ადგილობრივი ანესთეზიის დანიშვნა:</p> <ul style="list-style-type: none"> საანესთეზიო პრეპარატის შერჩევა 	<p>ქირურგის მომზადება ოპერაციისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ეფექტური და საიმედო ხელის დაბანა, ხელთათმანის ჩაცმა, სტერილური ხალათის ჩაცმა <p>4 ადგილობრივი ანესთეზიის ტექნიკა, საანესთეზიო აგენტის სწორი და უსაფრთხო გამოყენება</p> <p>4 კანისა და კანქვეშა ქსოვილის კვეთა:</p> <ul style="list-style-type: none"> სკალპელის, დიათერმიის, მაკრატლის გამოყენება 	<p>30</p> <p>10</p> <p>20</p> <p>20</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს, მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი, ექიმი რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს აფასებენ. თეორიული მასალა კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს ფასდება. შეფასება სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირდება.</p>
<p>ქირურგიული ჭრილობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ქირურგიული ჭრილობების კლასიფიკაცია ჭრილობის მართვის პრინციპები ჭრილობის შეხორცების პათოფიზიოლოგია ნაწიბურები და კონტრაქტურები კანისა და კანქვეშა ქსოვილის გაკვეთა: <ul style="list-style-type: none"> ლანგერის ხაზები ინსტრუმენტის შერჩევა უსაფრთხო პრაქტიკა კანისა და კანქვეშა ქსოვილის ჭრილობის დახურვა: <ul style="list-style-type: none"> ჭრილობის ყრუდ გაკერვის ჩვენებები საკერავი ძაფისა და ნემსის შერჩევა 	<p>4 კანისა და კანქვეშა ქსოვილის ჭრილობის დახურვა:</p> <ul style="list-style-type: none"> ჭრილობის კიდეების ზუსტი და დაუჭიმავე შეპირისპირება <p>4 კვანძის დადება:</p> <ul style="list-style-type: none"> ერთი ხელით ორი ხელით ინსტრუმენტით ზედაპირული ღრმა <p>3 ჰემოსტაზი:</p> <ul style="list-style-type: none"> სისხლმდენი სისხლძარღვის (ზედაპირული) კონტროლი დიათერმია ლიგირება ნაკერით ლიგირება კვანძით კლიპირება 	<p>100</p> <p>50</p>	

<ul style="list-style-type: none"> კვანძის დადგენა: <ul style="list-style-type: none"> ნაკერისა და ლიგატურის მასალა და მათი შერჩევა ქირურგიული ნაკერების და ლიგატურების სათვის კვანძების უსაფრთხო გამოყენება პემოსტაზი: <ul style="list-style-type: none"> ქირურგიული ტექნიკა დიათერმიის პრინციპები ინსტრუმენტების შერჩევა ბიოფსიის ტექნიკა ასპირაციული ციტოლოგიური მასალის აღების ჩათვლით დრენაჟის გამოყენება: <ul style="list-style-type: none"> ჩვენება ტიპები მენეჯმენტი ანასტომოზის ფორმირების პრინციპები ქირურგიული ენდოსკოპიის პრინციპები 	<ul style="list-style-type: none"> ტრანსფიქსიური ნაკერი <p>4 ქსოვილის რექტრაქცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ქირურგიული პინცეტი ჭრილობაში რექტრაქტორის მოთავსება <p>3 დრენაჟის გამოყენება:</p> <ul style="list-style-type: none"> ჩადგმა ფიქსაცია ამოღება <p>3 ქსოვილის დამუშავება:</p> <ul style="list-style-type: none"> ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება და ქსოვილებთან ფაქიზი მოპყრობა ბიოფსიის ტექნიკა <p>4 ასისტენტობის ჩვენება:</p> <ul style="list-style-type: none"> ასისტენტის დროს ოპერატორის მოთხოვნილებების ამოცნობა 	<p>20</p> <p>20</p> <p>20</p> <p>20</p>	
<p>პრესაოპერაციო მართვა</p> <p>ინტრაოპერაციული მართვა</p> <p>პოსტოპერაციული მართვა</p> <p>პრესაოპერაციო შეფასება და მენეჯმენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია შაქრიანი დიაბეტი და სხვა ენდოკრინული დარღვევების წინასაოპერაციო კორექცია სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი თირკმლის უკმარისობა სეფსისის პათოფიზიოლოგია, პრევენცია, პროფილაქტიკა თრომბოპროფილაქტიკა ლაბორატორიული ანალიზები და ინსტრუმენტული კვლევები ოპერაციის რისკ-ფაქტორები და ქულობრივი სისტემები პრემედიკაცია და სხვა პრეოპერაციული დანიშნუ- 	<p>3 პრეოპერაციული შეფასება და მენეჯმენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> ავადმყოფის გახინჯვა და ისტორიის შევსება წინასაოპერაციო კვლევების შედეგების ინტერპრეტაცია თანმხლები დაავადებების მენეჯმენტი რენიმატია შესაბამისი პრეოპერაციული დანიშნულება პრემედიკაციის ჩათვლით <p>3 ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ინტრაოპერაციული მზრუნველობის უსაფრთხო წარმოება ავადმყოფის სწორი პოზიცია ნერვის დაზიანების პრევენცია ბასრი ინსტრუმენტებით დაზიანების პრევენცია დიათერმული დაზიანების პრევენცია ვენური თრომბოზის პრევენცია <p>3 პოსტოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> საოპერაციო ჩანაწერების 	<p>20</p> <p>20</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი, ექიმო რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს აფასებენ.</p> <p>თეორიული მასალის ათვისების დონე კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს ფასდება. შეფასება სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირდება.</p>

<ul style="list-style-type: none"> • ლეგა • ოპერაციის დღის დანიშვნის პრინციპები <p>ინტრაოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოება საოპერაციოში, რაშიც საოპერაციო მაგიდაზე ავადმყოფის სწორი პოზიცია შედის, ნერვის დაზიანების თავიდან აცილება • უსაფრთხოება ბასრი ინსტრუმენტების მიმართ • დიათერმია, ლაზერის გამოყენება • ინფექციის რისკები • რადიაციის გამოყენება და რისკები • ლახტის გამოყენება მისი ჩვენების, ეფექტების და გართულებების გათვალისწინებით • ადგილობრივი, რეგიონალური და ზოგადი ანესთეზიის პრინციპები • ინვაზიური და არაინვაზიური მონიტორინგის პრინციპები • ვენური თრომბოზის პრევენცია • ოპერაცია ჰეპატიტის და შიდსის ვირუსის მატარებლებში • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი 	<p>გაკეთება</p> <ul style="list-style-type: none"> • ავადმყოფის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი • პოსტოპერაციული ანალგეზია • სითხეებისა და ელექტროლიტების მენეჯმენტი • ორგანოთა მოსალოდნელი უკმარისობის გამოვლენა • ორგანოთა უკმარისობის საწყისი მენეჯმენტი • დიალიზის პრინციპები და ჩვენებები • პოსტოპერაციული გართულებების ამოცნობა, პრევენცია და მკურნალობა <p>3 ჰემოსტაზი და სისხლის პროდუქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ მდგომარეობათა ამოცნობა, რომელმაც ჰემორაგიული დიათეზი შეიძლება გამოიწვიოს • ოპერაციის დროს კოაგულოპათიური სისხლდენის ამოცნობა • სისხლის პროდუქტების სათანადო გამოყენება • სისხლის პროდუქტების ტრანსფუზიის გართულებების მენეჯმენტი <p>3 კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • რისკის ქვეშ მყოფი ავადმყოფების ამოცნობა • პულმონარული ემბოლიის და ღრმა ვენების თრომბოზის ამოცნობა და დიაგნოზი • დუპლექს-სკანირების, ვენოგრაფიის და D-დიმერის მაჩვენებლის როლი • ვენური თრომბოზის და პულმონარული ემბოლიის საწყისი და მონიტორული მკურნალობა-პროფილაქტიკის დაწყება 	<p>20</p> <p>20</p> <p>20</p>	
<p>პოსტოპერაციული მზრუნველობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პოსტოპერაციული მონიტორინგი • კარდიორესპირატორული ფიზიოლოგია • სითხის ბალანსი და ჰომეოსტაზი • შაქრიანი დიაბეტი, სხვა ენდოკრინული დარღვევები • თირკმლის უკმარისობა • სისხლის დანაკარგის პათოფიზიოლოგია • სეფსისის პათოფიზიოლოგია SIRS-ის და შოკის ჩათვლით • მულტიორგანული დის- 	<p>3 ანტიბიოტიკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანტიბიოტიკების დანიშნულება <p>3 პრეოპერაციული კვებითი მკურნალობის შეფასება და დაგეგმვა:</p>		

<ul style="list-style-type: none"> ფუნქციის სინდრომი • ზოგადი პოსტოპერაციული გართულებები • პოსტოპერაციული ანალგეზიის მეთოდები <p>კვების მენეჯმენტის შეფასება და დაგეგმვა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პოსტოპერაციული კვება • მალნუტრიციის ეფექტები – ჭარბი კვება, კვების უკმარისობა • დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი • კვების სტატუსის სკრინინგის და შეფასების მეთოდები • ენტერალური და პარენტერალური კვების მეთოდები <p>ჰემოსტაზი და სისხლის კომპონენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ჰემოსტაზის მექანიზმი, მათ შორის, შედეგების კასკადი • დარღვეული ჰემოსტაზის პათოლოგია – ჰემოფილია, ღვიძლის დაავადებები, მასიური ჰემორაგია • სისხლის კომპონენტები • სისხლის პროდუქტების გამოყენების ალტერნატივა • სისხლის პროდუქტების დანიშვნის პრინციპები • სისხლის პროდუქტების გამოყენებასთან დაკავშირებული ავადმყოფის უსაფრთხოება <p>კოაგულაცია, ღრმა ვენების თრომბოზი და ემბოლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • შედეგების მექანიზმი (ვირხოვის ტრიადა) • ოპერაციის და ტრავმის შემოქმედება კოაგულაციის პროცესზე • ტესტები თრომბოფილიაზე და კოაგულაციის სხვა დარღვევებზე • თრომბოემბოლიური დაავადების კვლევის მეთოდები • ვენური თრომბოზის და ფილტვის ემბოლიის მკურ- 	<ul style="list-style-type: none"> • ხელოვნური კვების უზრუნველყოფის ორგანიზება, ძირითადი საკვები დანამატები, ენტერალური და პარენტერალური კვება <p>3 მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენდოკრინული და ელექტროლიტური დაზიანების მქონე ავადმყოფებში ანამნეზი და მათი ანალიზი • თირეოტოქსიკოზის და ჰიპოთირეოიდიზმის დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი • ჰიპერ- და ჰიპოკალციემიის დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი • სტეროიდულ თერაპიაზე მყოფი ავადმყოფების პერიოპერაციული მენეჯმენტი • შაქრიანი დიაბეტის მქონე ავადმყოფების პერიოპერაციული მენეჯმენტი • ჰიპონატრიემიის დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი • ჰიპერ- და ჰიპოკალიემიის დიაგნოსტიკა და მენეჯმენტი • ცენტრალურ ვენაში კათეტერის ჩადგმა • ურეთრის კათეტერიზაცია 	<p>20</p> <p>10</p> <p>10</p> <p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>10</p> <p>10</p> <p>10</p> <p>5</p> <p>20</p>	
--	--	---	--

<p>ნაღობის პრინციპები ანტიკოაგულაციის ჩათვლით</p> <ul style="list-style-type: none"> • ვენტილაცია/პერფუზიის სკანირების, კტ პულმონარული ანგიოგრაფიის, D-დიმერის და თრომბოლიზის როლი • პულმონარული ემბოლექტომია • თრომბოემბოლიის პროფილაქტიკა • ღრმა ვენების თრომბოზის რისკის კლასიფიკაცია და მენეჯმენტი • ღრმა ვენების თრომბოზის პრევენციის მექანიკური და ფარმაკოლოგიური მეთოდები <p>ანტიბიოტიკები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქირურგიულ ავადმყოფებში ძირითადი პათოგენური ინფექციები • ანტიბიოტიკებისადმი მგრძობელობა • ანტიბიოტიკების გვერდითი მოვლენები • პროფილაქტიკის და მკურნალობის პრინციპები <p>პერიოპრაციულ მენეჯმენტთან დაკავშირებული მეტაბოლური და ენდოკრინული დარღვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> • თირეოიდული ჰორმონის სიჭარბისა და დეფიციტის პათოფიზიოლოგია და მასთან ასოცირებული ოპერაციული რისკები • ჰიპერ- და ჰიპოკალციემიის მიზეზები და შედეგები • კორტიკოსტეროიდული თერაპიის გართულებები • სტეროიდული უკმარისობის მიზეზები და შედეგები • შაქრიანი დიაბეტის გართულებები • ჰიპონატრიემიის მიზეზები და შედეგები • ჰიპერ- და ჰიპოკალიემიის მიზეზები და შედეგები 			
<p>ქირურგიული ტექნიკა და ტექნოლოგია</p>	<p>ჭრილობის პირველადი ქირურგიული დამუშავება,</p>	<p>20</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს მოდულზე პა-</p>

	<p>ბარძაყის ამპუტაცია, თითის ფალანგების ამპუტაცია, თითის ფალანგების ამოსახსვრა, წინამხრის ამპუტაცია, ტერფის ამპუტაცია შარპის მეთოდით, ტერფშორის ამოსახსვრა ლისფრანკის წესით, წვივის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, ბარძაყის ძვალ-პლასტიკური ამპუტაცია, სუპრაკონდილური ამპუტაცია, სისხლძარღვთა ლიგაცია, ნევრორაფია, ტენდორაფია, ლაპაროტომია, ლაპაროტომიული ჭრილობის დახურვა, ღვიძლის ბიოფსია, ლაპაროსკოპული ტექნიკის ათვისება ტრაქეოტომია, ტრაქეის ინტუბაცია</p>	<p>2 2 2 2 2 2 2 2 20 5 5 30 5 5 5 5</p>	<p>სუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი, ექიმი რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს აფასებენ.</p> <p>თეორიული მასალის ათვისების დონე კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოსფასდება. შეფასება სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირდება.</p>
<p>ძირითადი ქირურგიული დაავადებები</p> <p>არსებული სიმპტომები და სინდრომები:</p> <ul style="list-style-type: none"> • აბდომინური ტკივილი • აბდომინური შებერილობა • ნაწლავთა პერისტალტიკის ცვლილებები • გასტროინტესტინური სისხლდენა • რექტალური სისხლდენა • დისფაგია • დისპეფსია • სიყვითლე <p>მოიცავს შემდეგ დაავადებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • აპენდიციტი • გასტროინტესტინური ავთვისებიანი სიმსივნე • ნაწლავის ანთებითი დაავადება • ნაწლავისთა დივერტიკული • ნაწლავის ობსტრუქციული გაუვალობა • შესორცებები მუცლის ღრუში • მუცლის თიაქარი • პერიტონიტი • ნაწლავის პერფორაცია • საყლაპავი მილის კეთილთვისებიანი სიმსივნეები • კუჭის პეპტიური წყლულოვანი 			<p>მოდულის მიმდინარეობის დროს მოდულზე პასუხისმგებელი პირი, უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი, ექიმი რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს აფასებენ.</p> <p>თეორიული მასალის ათვისების დონე კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს ფასდება. შეფასება სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირდება.</p>

<p>დაავადება</p> <ul style="list-style-type: none"> • ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, პანკრეასის კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები • ჰემოროიდული და პერიანალური დაავადებები • მუცლის კედლის სტომა <p>სარძევე ჯირკვლის დაავადებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს სიმსივნეები და ღვრის გამონადენი • ძუძუს მწვავე ტკივილი <p>შემდეგ დაავადებებს მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეები • მასტიტი და ძუძუს აბსცესი <p>პერიფერიული სისხლძარღვების დაავადებები</p> <p>წარმოდგენილი სიმპტომები და სინდრომები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კიდურის ქრონიკული და მწვავე იშემია • სისხლძარღვთა ანევრიზმა • ტრანზიტორული იშემია • ვენების ვარიკოზული გაგანიერება • ქვედა კიდურის დაწყლულება <p>შემდეგ პათოლოგიებს მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • არტერიების ათეროსკლეროზული დაავადება • არტერიების ემბოლია და თრომბოზი • ვენური უკმარისობა • დიაბეტური დაწყლულება <p>ენდოკრინული დაავადებები</p> <p>სიმპტომები და სინდრომები:</p> <ul style="list-style-type: none"> • კისრის სიმსივნეები • მწვავე ენდოკრინული კრიზი <p>შემდეგ დაავადებებს მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • თიროიდული და პარათირეოიდული დაავადებები • თირკმელზედა ჯირკვლის დაავადებები • შაქრიანი დიაბეტი 			
<p>პოლიტრავმა</p> <p>ზოგადი ინფორმაცია:</p>	<p>ძოგადი საკითხები:</p> <p>4 ანამნეზი და გასინჯვა</p> <p>3 კვლევა</p>	<p>5</p> <p>5</p>	<p>მოდულის მიმდინარეობის დროს მოდულზე პასუხისმგებელი პირი,</p>

<ul style="list-style-type: none"> ავადმყოფობათა შეფასების ქულბორივი სისტემა თავისებურებები ბავშვთა ასაკში <p>შოკი:</p> <ul style="list-style-type: none"> შოკის პათოგენეზი შოკი და კარდიოვასკულარული ფიზიოლოგია ტრავმულ დაზიანებაზე მეტაბოლური პასუხი რესპირატორული დისტრეს-სინდრომი არაჯვარედინი შეთავსების სისხლის გამოყენების ჩვენება <p>ჭრილობები და რბილი ქსოვილების დაზიანებები:</p> <ul style="list-style-type: none"> ცეცხლსასროლი იარაღით და ჭურვით მიყენებული დაზიანებები დანით მიყენებული დაზიანებები ადამიანისა და ცხოველთა ნაკბენი რბილი ქსოვილების დაზიანების ბუნება და მექანიზმები რბილი ქსოვილების დაზიანებისას მენეჯმენტის პრინციპები ტრავმული ჭრილობების მენეჯმენტის პრინციპები კომპარტმენტ-სინდრომი <p>დამწვრობა:</p> <ul style="list-style-type: none"> დამწვრობის კლასიფიკაცია მენეჯმენტის პრინციპები დამწვრობისას <p>მოტეხილობები:</p> <ul style="list-style-type: none"> მოტეხილობების კლასიფიკაცია მოტეხილობების პათოფიზიოლოგია მენეჯმენტის პრინციპები მოტეხილობების მოტეხილობების გართულებები სახსრების დაზიანებები <p>ორგანო-სპეციფიური ტრავმა:</p> <ul style="list-style-type: none"> თორაკალური ტრავმის პათოფიზიოლოგია 	<p>3 შესაბამისი ქირურგიული სუბსპეციალობისაკენ გადამისამართება</p> <p>4 იმ ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი, რომლებმაც გულმკერდის, თავის, ხერხემლის, მუცლის ან კიდურების დაზიანებები მიიღეს (ATLS, APLS გაიდლაინების მიხედვით)</p> <p>4 მრავლობითი დაზიანების მქონე ავადმყოფთა რეანიმაცია და ადრეული მენეჯმენტი</p> <p>3 სპეციფიური პრობლემები:</p> <ul style="list-style-type: none"> უგონო მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფის მენეჯმენტი კანის დანაკარგვისას (დეფიციტისას) ავადმყოფის საწყისი მენეჯმენტი დამწვრობის მქონე ავადმყოფის საწყისი მენეჯმენტი <p>2 კათეტერის ჩადგმაცენტრალურ ვენაში</p> <p>3 გულმკერდში დრენაჟის ჩადგმა</p> <p>2 დიაგნოსტიკური პერიტონეალური ლავაჟი</p> <p>4 ურეთრალური კათეტერიზაცია</p> <p>2 სუპრაპუბიკური კათეტერიზაცია (ეპიცისტოსტომია)</p>	<p>5</p> <p>5</p> <p>5</p> <p>2</p> <p>5</p> <p>5</p> <p>5</p> <p>20</p> <p>5</p>	<p>უფროსი რეზიდენტი და ზედამხედველი, ექიმი რეზიდენტის პრაქტიკული მომზადების დონეს აფასებენ.</p> <p>თეორიული მასალის ათვისების დონე კლინიკის თანამშრომელთა მიერ კონფერენციების ბოლოს ფასდება. შეფასება სარეგისტრაციო ჟურნალში ფიქსირდება.</p>
---	--	---	--

<ul style="list-style-type: none"> • პნევმოთორაქსი • თავისქალას დაზიანებები ინტრაკრანიალური ტრავმული ჰემორაგიის და თავის ტვინის დაზიანების ჩათვლით • ხერხემლის სვეტის დაზიანება • პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანება • მუცლის ბლაგი და შემაჯავლი ტრავმა • ელენთის დაზიანება • სისხლძარღვთა დაზიანება, მათ შორის, იატროგენული გენეზის და ინტრავასკულარული ნარკოტიკული მოხმარებით გამოწვეული • კრამ-დაზიანება <p>კანის დეფიციტისას მენეჯმენტის პრინციპები, მათ შორის კანის ტრანსპლანტაციები და კანის ნაფლეთები</p>			
